KA030159491756220

№ 01-4736 **16 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ კორონავირუსის პანდემიაზე რეაგირების მიზნით, მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხის (სესხის ნომერი #9113-GE) ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო აღჭურვილობის, პერსონალური დაცვის საშუალებებისა და კორონავირუსის სადიაგნოსტიკო ტესტების შესყიდვა.

სადიაგნოსტიკო ტესტების შესყიდვის საჭიროებიდან გამომდინარე, მსოფლიო ბანკს ეთხოვა, “Green Lab Ltd”-ის მიერ საქართველოში რეგისტრირებული და “Biogene Ltd”-ის მიერ მოწოდებული ჩინური კომპანია Zhajiang Orient Gene Biotech-ის მიერ წარმოებული კორონავირუსის სადიაგნოსტიკო ანტისხეულის განმსაზღვრელი 30 000 ცალი სწრაფი ტესტის შესყიდვის უზრუნველყოფაში მხარდაჭერა. ერთეულის ღირებულება შეადგენს 5.20 აშშ დოლარს. გაეროსა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ფასების კვლევის შედეგად, კორონავირუსის სადიაგნოსტიკო ტესტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 15 დოლარი.

ანტისხეულებზე სწრაფი ტესტების შესყიდვის აუცილებლობა, მინისტრის 2020 წლის 1 აპრილის 01-144/ო ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული ალგორითმის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით არაერთხელ იქნა დასმული ლაბორატორიული ექსპერტების ჯგუფისა და კოვიდ 19-ის საკოორდინაციო კომიტეტის შეხვედრებზე.

ზემოაღნიშნული ტესტის შესყიდვის საკითხის განხილვისას ექსპერტებმა გაითვალისწინეს რა ტესტის საქართველოში რეგისტრაციის სტატუსი, ის რომ ტესტის ხარვეზის შესახებ აქამდე არც ერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას განაცხადი არ გაუკეთებია და საქართველოში ტესტის გამოყენების ადრეული შედეგების საფუძველზე შეუსაბამობა PCR-ით დადასტურებულ პასუხებს და ანტისხეულების განსაზღვრით მიღებულ შედეგებს შორის არ გამოვლენილა (ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ბაზაზე ტესტების გამოყენების მონაცემები) მხარი დაუჭირეს მითითებული ტესტის შესყიდვის პროცედურის დაწყებას უმოკლეს ვადაში.

ტესტების შესყიდვის პროცედურა შეთანხმდა მსოფლიო ბანკის სათაო ოფისთან და მიღებულ იქნა დასტური მითითებულ მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების და ტესტების შესყიდვის თაობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ მსოფლიო ბანკის მოთხოვნების/რეგულაციების შესაბამისად მომზადებულ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ერთობლივ საწარმოს “Green Lab Ltd”/“Biogene Ltd” შორის გასაფორმებელ შესყიდვის ხელშეკრულების პროექტს“.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ხელშეკრულების ხელმოწერას და შესყიდვასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

დამოწმებულია ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური